

დომენური სახელის რეგისტრაციის ხელშეკრულება

წინამდებარე დომენური სახელის რეგისტრაციის ხელშეკრულება („ხელშეკრულება“) გაფორმებულია შპს „დომენები.ჯი“-სა (ს/ნ 405254004) (შემდგომში „რეგისტრატორი“) და დომენური სახელის რეგისტრაციაზე ელექტრონული განაცხადის წარმდგენს (შემდგომში „რეგისტრანტი“) შორის (რეგისტრანტის ვინაობა, საკონტაქტო ინფორმაცია და რეკვიზიტები მითითებულია ელექტრონულ განაცხადში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს);

რეგისტრანტი და რეგისტრატორი ერთობლივად მოხსენებული, როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე, როგორც „მხარე“.

ვინაიდან, რეგისტრატორი უზრუნველყოფს რეგისტრანტებისთვის სარეგისტრაციო მომსახურების ან/და დამატებითი მომსახურების გაწევას;

ვინაიდან, რეგისტრანტმა წარუდგინა რეგისტრატორს ელექტრონული განაცხადი დომენური სახელის დასარეგისტრირებლად, რომელი განაცხადიც აუცილებელია აკმაყოფილებდეს დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების პირობებს და რეგისტრანტს სურს მიიღოს სარეგისტრაციო მომსახურება ან/და დამატებითი მომსახურება რეგისტრატორისგან;

ვინაიდან, რეგისტრატორმა დაადასტურა, რომ რეგისტრანტის მიერ წარდგენილია ელექტრონული განაცხადი, რომელი განაცხადიც აუცილებელია აკმაყოფილებდეს დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების პირობებს და წინამდებარე ხელშეკრულებით იღებს ვალდებულებას განიხილოს წარდგენილი ელექტრონული განაცხადი და მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში – გაუწიოს სარეგისტრაციო მომსახურება ან/და დამატებითი მომსახურება რეგისტრანტს;

ვინაიდან, რეგისტრანტი გაეცნო და ეთანხმება დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას, რომლებიც წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

ვინაიდან, მხარეების სურვილია წინამდებარე ხელშეკრულებით დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების შესაბამისად განსაზღვრონ რეგისტრატორის მიერ რეგისტრანტისთვის გასაწევი სარეგისტრაციო მომსახურების პირობები.

ვინაიდან, მხარეების სურვილია წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრონ რეგისტრატორის მიერ რეგისტრანტისთვის გასაწევი დამატებითი მომსახურების პირობები.

შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტება

- 1.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ ამ ხელშეკრულებაში და დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებში მინიჭებული მნიშვნელობა.
- 1.2. შემდეგ ტერმინებს, თუ სხვაგვარად არ მოითხოვს კონტექსტი, აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
 - 1.2.1. „ხელშეკრულება“ ნიშნავს წინამდებარე დომენური სახელის რეგისტრაციის ხელშეკრულებას მისი ყველა დანართით;
 - 1.2.2. „რეგისტრაციის საფასური“ აქვს ხელშეკრულების 4.1 მუხლით განსაზღვრული მნიშვნელობა;
 - 1.2.2.1. „დამატებითი მომსახურების საფასური“ აქვს ხელშეკრულების 4.1.1 მუხლით განსაზღვრული მნიშვნელობა;
 - 1.2.3. „რეგისტრაციის განახლების საფასური“ აქვს ხელშეკრულების 4.2 მუხლით განსაზღვრული მნიშვნელობა;
 - 1.2.4. „დომენური სახელი“ ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის ნიშნავს რეგისტრანტის მიერ ელექტრონულ განაცხადში მითითებულ დომენურ სახელს.
 - 1.2.5. „ელექტრონული განაცხადი“ ნიშნავს რეგისტრატორის მიერ დადგენილ და მის ვებგვერდზე განთავსებულ ფორმას, რომლის საშუალებითაც რეგისტრანტი ახდენს თავისუფალი დომენური სახელის რეგისტრაციაზე განაცხადის გაგზავნას რეგისტრატორთან
 - 1.2.6. „დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესები“ ნიშნავს .GE დომენური ზონის ადმინისტრატორის, კავკასუს ონლაინის მიერ დადგენილ რეგულაციას, რომელიც აწესრიგებს ადმინისტრატორს და რეგისტრატორებს, რეგისტრატორებსა და რეგისტრანტებს და ასევე ადმინისტრატორსა და რეგისტრანტებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების, მათ შორის, უფლებების გამოყენების და ვალდებულებების შესრულების ნაწილში, სავალდებულო, არსებით პირობებს. წესების აქტუალური ვერსია განთავსებულია ვებგვერდზე: nic.ge
 - 1.2.6.1. რეგისტრატორი უფლებამოსილია მომხმარებელთა ინფორმირების მიზნით, გამოაქვეყნოს დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესები საკუთარ ვებგვერდზე (www.domenebi.ge). ამასთან, nic.ge-ზე გამოქვეყნებულ ვერსიასთან შინაარსობრივი განსხვავების შემთხვევაში მოქმედებს nic.ge-ზე გამოქვეყნებულ ვერსია.
 - 1.2.7. „სარეგისტრაციო მომსახურება“ ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის ნიშნავს რეგისტრანტის ელექტრონული განაცხადის შესაბამისად, რეგისტრანტისთვის დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების შესაბამისად გაწეულ შემდეგ მომსახურებებს: განაცხადის წარდგენა დომენური სახელის რეგისტრაციაზე; დომენური სახელის რეგისტრაცია; რეგისტრაციის განახლება; საკონტაქტო ინფორმაციის განახლება; სახელის სერვერის (NS) ჩანაწერების ადმინისტრირება.

1.2.8. „დამატებითი მომსახურება“ ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის ნიშნავს რეგისტრანტის ელექტრონული განაცხადის შესაბამისად, დომენურ სახელთან დაკავშირებულ და რეგისტრანტისთვის გაწეულ შემდეგ მომსახურებებს: WHOIS მონაცემების დაფარვა ან გამოჩენა (მათ შორის დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებით გათვალისწინებულ შემთხვევებში), დომენის დაპარკინგება რეგისტრატორის სახელის სერვერებზე, დომენის გადამისამართება, DNS მომსახურება, ელფოსტა (მათ შორის მესამე პირების მიერ მოწოდებული მომსახურებით), ჰოსტინგი (მათ შორის მესამე პირების მიერ მოწოდებული მომსახურებით), „გაყიდე დომენი“ – დომენის განთავსება დომენმარკეტზე, SMS დასტური და ინფორმაცია, ვებგვერდის ან მისი კომპონენტების შექმნა (მათ შორის მესამე პირების მიერ მოწოდებული მომსახურებით), სხვა მომსახურება, რომელიც მითითებულია რეგისტრატორის ვებგვერდზე www.domenebi.ge

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 რეგისტრატორი იღებს ვალდებულებას გაუწიოს რეგისტრანტს სარეგისტრაციო მომსახურება, რეგისტრატორის მიერ დადგენილი ფორმის ელექტრონულ განაცხადში მითითებულ დომენურ სახელთან დაკავშირებით, დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებით გათვალისწინებული პირობებით (CPV კოდი 72417000 - დომენური სახელები).

2.1.1 რეგისტრატორი იღებს ვალდებულებას გაუწიოს რეგისტრანტს რეგისტრატორის მიერ დადგენილი ფორმის ელექტრონულ განაცხადში მითითებული დამატებითი მომსახურება, რომელიც უკავშირდება ამავე ელექტრონულ განაცხადში მითითებულ და რეგისტრანტის სახელზე განაცხადის წარდგენის მომენტისთვის რეგისტრატორთან მოქმედი რეგისტრაციის მქონე დომენურ სახელს.

2.1.2 წინამდებარე ხელშეკრულების 2.1.1 პუნქტით გათვალისწინებული დამატებითი მომსახურების გაწევა ხდება მხოლოდ აღნიშნული დამატებითი მომსახურების გაწევის მომენტისთვის რეგისტრანტის სახელზე და რეგისტრატორთან მოქმედი რეგისტრაციის მქონე დომენური სახელისთვის.

2.2 დომენური სახელის რეგისტრაციით რეგისტრანტი იღებს დომენური სახელით სარგებლობის შეზღუდულ, გადაცემად, განახლებად, ექსკლუზიურ უფლებას იმ ვადითა და პირობებით როგორც ეს მოცემულია ამ ხელშეკრულებაში და დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებში.

2.3 წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება რეგისტრატორს წარმოექმნება მხოლოდ რეგისტრანტის მიერ 4.1 პუნქტის შესაბამისად რეგისტრაციის საფასურის გადახდის შემდეგ, რეგისტრატორის მხრიდან აღნიშნული სარეგისტრაციო მომსახურების გაწევაზე დასტურის მომენტიდან.

- 2.3.1 წინამდებარე ხელშეკრულების 2.1.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება რეგისტრატორს წარმოექმნება მხოლოდ რეგისტრანტის მიერ 4.1.1 პუნქტით განსაზღვრული ვადისა და პირობების შესაბამისად რეგისტრაციის საფასურის გადახდის შემდეგ, რეგისტრატორის მხრიდან აღნიშნული დამატებითი მომსახურების გაწევაზე დასტურის მომენტიდან.
- 2.3.2 რეგისტრანტის მიერ დომენური სახელის რეგისტრატორის ცვლილების შემთხვევაში, რეგისტრატორს აღარ აქვს ამ დომენურ სახელთან დაკავშირებული, წინამდებარე ხელშეკრულების 2.1.1 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი მომსახურების გაწევის ვალდებულება.
- 2.3.3 რეგისტრატორის ცვლილების შემთხვევაში რეგისტრანტი არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს არსებულ რეგისტრატორთან წინასწარ გადახდილი დამატებითი მომსახურების საფასურის რაიმე ნაწილის უკან დაბრუნება. ასეთი საფასური ჩაითვლება არსებული რეგისტრატორისთვის, კონკრეტული დამატებითი მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტისთვის პირგასამტეხლოს სახით გადასახდელ თანხად.

3. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

- 3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის რეგისტრანტის მიერ ელექტრონული განაცხადის წარდგენის შემდეგ, 4.1 პუნქტის შესაბამისად რეგისტრაციის საფასურის გადახდის მომენტიდან და მოქმედებს 1 (ერთი) წლის ვადით.
- 3.2. კონკრეტული დომენური სახელის რეგისტრაცია, ამ ხელშეკრულების ფარგლებში, ძალაშია მისი რეგისტრატორთან გადმოტანის ან რეგისტრატორის მიერ ადმინისტრატორთან ელექტრონულად წარდგენილი სარეგისტრაციო განაცხადის დადასტურების მომენტიდან.
- 3.3. კონკრეტული დომენური სახელის რეგისტრაციის ვადა განისაზღვრება რეგისტრატორის მიერ ადმინისტრატორთან ელექტრონულად წარდგენილი სარეგისტრაციო განაცხადის დადასტურების მომენტიდან 1 (ერთი) წლით. სხვა რეგისტრატორიდან გადმოტანილი დომენური სახელის ვადა შედგება მისი გადმოტანამდე დარჩენილი ვადისა და გადმოტანისას დამატებული 1 (ერთი) წლის ჯამისაგან.
- 3.4. იმ შემთხვევაში თუ ამ ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე რეგისტრანტი გადაიხდის დომენური სახელის რეგისტრაციის განახლების საფასურს მომდევნო რეგისტრაციის პერიოდისთვის, წინამდებარე ხელშეკრულების ვადა ავტომატურად გაგრძელდება მომდევნო რეგისტრაციის პერიოდით, 1 (ერთი) წლის ვადით, იმავე პირობებით. აღნიშნული პირობა ვრცელდება ყოველ მომდევნო პერიოდზე.
- 3.5. რეგისტრანტს შესაძლოა გააჩნდეს დომენური სახელები, რომელთა რეგისტრაციაც მოქმედია სხვა რეგისტრატორებთან და არ არის გადმოტანილი რეგისტრატორთან.

წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს მხოლოდ იმ დომენური სახელებისათვის, რომელთა რეგისტრაცია მოქმედია **რეგისტრატორთან**.

3.6. თუ რეგისტრანტს არ გააჩნია რეგისტრატორთან არცერთი დომენური სახელის მოქმედი რეგისტრაცია (დომენური სახელის ვადის ამოწურვის, გაუქმების, სხვა რეგისტრატორთან გადატანის ან სხვა მიზეზით), წინამდებარე ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად.

3.6.1. წინამდებარე ხელშეკრულების 3.6 მუხლის დადგომისას რეგისტრანტს უუქმდება ყველა დამატებითი მომსახურება და ამ დამატებითი მომსახურების წინასწარ გადახდილი საფასური ჩაითვლება ხელშეკრულების ვადაზე ადრე გაწყვეტისათვის პირგასამტეხლოს სახით **რეგისტრატორისთვის** გადასახდელ თანხად.

4. რეგისტრაციის საფასური და გადახდის პირობები

4.1. ერთი დომენური სახელის კალენდარული წლით რეგისტრაციისთვის და **სარეგისტრაციო მომსახურების** მიღებისთვის **რეგისტრანტი** ვალდებულია გადაუხადოს **რეგისტრატორს** საფასური, რომლის ოდენობაც გამოქვეყნებულია ვებგვერდზე www.domenebi.ge (შემდგომში „**რეგისტრაციის საფასური**“).

4.1.1. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1.1 პუნქტით განსაზღვრულ, დომენურ სახელთან დაკავშირებულ ყოველ დამატებით მომსახურებას გააჩნია მოქმედების ვადა, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს ამ დომენური სახელის რეგისტრაციის ვადისაგან. დამატებითი მომსახურების ვადა და ამ ვადის შესაბამისი საფასური გამოქვეყნებულია ვებგვერდზე www.domenebi.ge (შემდგომში „**დამატებითი მომსახურების საფასური**“)

4.2. დომენური სახელის შემდგომი რეგისტრაციის პერიოდით რეგისტრაციის განახლების საფასური, რომლის ოდენობაც გამოქვეყნებულია ვებგვერდზე www.domenebi.ge (შემდგომში „**რეგისტრაციის განახლების საფასური**“).

4.2.1. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1.1 პუნქტით განსაზღვრული ყოველი დამატებითი მომსახურების მოქმედების ვადის ანალოგიური ახალი პერიოდით გაგრძელების სურვილის შემთხვევაში, რეგისტრანტი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულების 4.1.1 პუნქტში მითითებული საფასური, ამ დამატებითი მომსახურების მიმდინარე ვადის ამოწურვამდე. ამასთან, რეგისტრატორი იტოვებს უფლებას უარი განაცხადოს დამატებითი მომსახურების ვადის გაგრძელებაზე, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს რეგისტრანტს, ვადის გაგრძელებაზე ელექტრონული განაცხადის მიღების შემდეგ.

4.3. წინამდებარე ხელშეკრულების ავტომატურად გაგრძელების სურვილის შემთხვევაში **რეგისტრანტი** იღებს ვალდებულებას გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულების 4.2. მუხლში მითითებული **რეგისტრაციის განახლების საფასური** კონკრეტული დომენური სახელის რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე, რაც ასევე წინ უნდა უძღოდეს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღს.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. რეგისტრანტს უფლება აქვს:

- (i) მოსთხოვოს რეგისტრატორს წინამდებარე ხელშეკრულებით და დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

5.2. რეგისტრანტი ვალდებულია:

- (i) გაეცნოს და შეასრულოს დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებს და შესაბამის ინსტრუქციებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე nic.ge
- (ii) დროულად გადაიხადოს დომენური სახელის რეგისტრაციის, რეგისტრაციის განახლების საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დამატებითი მომსახურების საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- (iii) მიაწოდოს რეგისტრატორს სარეგისტრაციო მონაცემების განსაახლებლად აუცილებელი ინფორმაცია;
- (iv) რეგისტრატორის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს რეგისტრატორს დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებით განსაზღვრული დამატებითი ინფორმაცია;
- (v) კეთილსინდისიერად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით და დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებით ნაკისრი ვალდებულებები;
- (vi) გამოიყენოს დომენური სახელი იმგვარად, რომ ასეთმა გამოყენებამ არ გამოიწვიოს მესამე პირთა უფლებების, მარეგულირებელი კანონმდებლობის ან სამართლებრივი ძალის მქონე აქტის დარღვევა;
- (vii) დამატებითი მომსახურების მისაღებად, გაითვალისწინოს რეგისტრატორის წერილობითი და ზეპირი ინსტრუქციები.

5.3. რეგისტრატორი უფლებამოსილია:

- (i) მოსთხოვოს რეგისტრანტს წინამდებარე ხელშეკრულებითა და GE დომენის რეგისტრაციისა და სარგებლობის წესებითა და პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.
- (ii) მოსთხოვოს რეგისტრანტს დამატებითი მომსახურების გასაწევად აუცილებელი ინსტრუქციების გაცნობა და შესრულება.
- (iii) გაუზიაროს რეგისტრანტს დომენური სახელის სარეგისტრაციო მომსახურებასთან ან/და დამატებით მომსახურებასთან დაკავშირებული შეტყობინებები, რეგისტრანტის მიერ ელექტრონულ განაცხადში ან/და მომხმარებლის მონაცემების გვერდზე (www.domenebi.ge) დაფიქსირებულ საკონტაქტო ელფოსტაზე ან/და მობილურ ტელეფონზე. ამასთან, რეგისტრანტი აცნობიერებს, რომ ასეთი შეტყობინების არ ან ვერ მიღება არ შეიძლება გახდეს

მის მიერ 4.3 და 4.2.1 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემაფერხებელი გარემოება.

5.4. რეგისტრატორი ვალდებულია:

- (i) გაუწიოს რეგისტრანტს სარეგისტრაციო მომსახურება დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების და ამ ხელშეკრულების პირობების დაცვით;
- (ii) უზრუნველყოს რეგისტრანტის მიერ მოწოდებული სარეგისტრაციო მონაცემებისა და ინფორმაციის დროული განახლება.

6. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

6.1 რეგისტრანტი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

- (i) მის მიერ სარეგისტრაციო განაცხადში მითითებული ინფორმაცია არის სრული და სწორი;
- (ii) საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართი და მობილური ტელეფონის ნომერი არის მოქმედი და მასთან წვდომა აქვს რეგისტრანტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს (იურიდიული პირის შემთხვევაში);
- (iii) მოპოვებული აქვს ყველა საჭირო ნებართვა და თანხმობა ადმინისტრაციული საკონტაქტო პირისგან, ტექნიკური საკონტაქტო პირისგან, ბილინგ საკონტაქტო პირისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მათ შორის და არამხოლოდ, მათი საკონტაქტო ინფორმაციის გამოყენებასთან და დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით;
- (iv) რეგისტრანტს აქვს კანონიერი უფლება გამოიყენოს დომენური სახელი;
- (v) რეგისტრანტი აკმაყოფილებს დომენური სახელის დასარეგისტრირებლად აუცილებელ მოთხოვნებს, მათ შორის დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების 3.3 პუნქტის მოთხოვნებს ზოგად დომენებთან მიმართებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- (vi) დომენური სახელის რეგისტრაცია და გამოყენება, რამდენადაც ეს რეგისტრანტისთვის ცნობილია, არ არღვევს და არ დაარღვევს რაიმე სამართლებრივი ძალის მქონე აქტს, მარეგულირებელ კანონმდებლობას ან მესამე პირთა უფლებებს;
- (vii) დამატებითი მომსახურებით სარგებლობა, რამდენადაც ეს რეგისტრანტისთვის ცნობილია, არ არღვევს და არ დაარღვევს რაიმე სამართლებრივი ძალის მქონე აქტს, მარეგულირებელ კანონმდებლობას ან მესამე პირთა უფლებებს;

6.2 რეგისტრატორის განცხადებები და გარანტიები:

- (i) **რეგისტრატორს** აქვს ყველა შესაბამისი უფლებამოსილება გააფორმოს ეს **ხელშეკრულება** და შეასრულოს ამ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები.
- (ii) **რეგისტრატორის** მიერ ამ **ხელშეკრულების** ხელმოწერა და შესრულება ა) არ არღვევს, არ ეწინააღმდეგება ან არ გამოიწვევს **რეგისტრატორის** მხრიდან რაიმე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას, რომლის მხარე არის **რეგისტრატორი**; ბ) არ დაარღვევს მარეგულირებელ კანონმდებლობას.
- (iii) **რეგისტრატორთან** ოფიციალური კომუნიკაციის არხია ელექტრონული ფოსტა, რომლის მისამართიც მითითებულია ვებგვერდზე (www.domenebi.ge). რეგისტრატორი მომხმარებელთა სწრაფი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად შესაძლოა ასევე იყენებდეს ტელეფონს, SMS-კავშირს, შეტყობინებების მიმოცვლის სერვისებს (Facebook Messenger, WhatsApp), თუმცა ამ არხებით კომუნიკაცია არ ჩაითვლება რეგისტრანტთან ოფიციალურ კომუნიკაციად, თუ ვერ მოხერხდება რეგისტრანტის იდენტიფიკაცია რეგისტრატორისთვის მისაღები ხარისხით.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 7.1. **რეგისტრანტის** მიერ **დომენური სახელის** არამართლზომიერი გამოყენების, მათ შორის ასეთი გამოყენების შედეგად მესამე პირთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში **რეგისტრანტი** ვალდებულია აანაზღაუროს გაწეული ხარჯი ან/და მიყენებული ზიანი, როგორც ეს გათვალისწინებულია **დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებში**.
- 7.2. **რეგისტრანტი** აცნობიერებს და ეთანხმება, რომ 5.2 და 6.1 პუნქტის პირობების არაჯეროვანი შესრულება შესაძლოა გახდეს დომენური სახელის რეგისტრაციის ან/და დამატებითი მომსახურების გაუქმების საფუძველი.
- 7.3. წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გადახდილი რეგისტრაციის საფასურის უკან დაბრუნება არ ხდება.
- 7.4. **რეგისტრატორი** არცერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი **რეგისტრანტის** მიერ დომენური სახელის რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმების, რეგისტრაციის ვადის არ გაგრძელების ან სხვა გზით დომენური სახელთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა გაუმართაობით გამოწვეულ ზიანზე ან/და მიუღებელ შემოსავალზე.
- 7.5. **რეგისტრატორი** არცერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი **რეგისტრანტის** მიერ დამატებითი მომსახურების გაუმართაობით გამოწვეულ ზიანზე ან/და მიუღებელ შემოსავალზე.

8. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველები

8.1. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია:

8.1.1. მხარეთა შეთანხმება;

8.1.2. ხელშეკრულების ვადის გასვლა;

8.1.2.1. წინამდებარე ხელშეკრულების 3.6 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა.

8.1.3. მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ბათილობას. ამ შემთხვევაში მხარეები შეეცდებიან მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულება შეცვალონ ისეთი დებულებით, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულების არსს;

8.1.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

9. მარეგულირებელი კანონმდებლობა

9.1 რეგისტრანტსა და რეგისტრატორს შორის ურთიერთობებზე და ხელშეკრულებაზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობა.

9.2 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებულიადაც მხარეებს შორის, უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. დავის ალტერნატიული მოგვარების წესი

10.1 იმ შემთხვევაში თუ რეგისტრირდება დომენური სახელი, რეგისტრანტი თანხმობას აცხადებს დომენურ სახელებთან დაკავშირებული დავების მოგვარების ერთიან პოლიტიკაზე (Uniform Domain Name Dispute Resolution Policy “UDRP”), მათ შორის UDRP-ის ნორმებზე და დამატებით წესებზე, რომლებიც წარმოადგენს ამ დომენის რეგულაციის განუყოფელ ნაწილს. UDRP ძალაში მყოფი წესები ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: nic.ge

10.2 რეგისტრანტი თანხმობას აცხადებს, რომ UDRP-ის შესაბამისად დავები განიხილოს WIPO-ს არბიტრაჟისა და მედიაციის ცენტრმა. დავის განხილვის ენა უნდა იყოს ინგლისური.

11. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

11.1 რეგისტრანტი თანხმობას აცხადებს რეგისტრატორმა რეგისტრანტის პერსონალური მონაცემები დაამუშაოს საქართველოს კანონმდებლობის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესაბამისად.

11.2 რეგისტრანტი თანხმობას აცხადებს რეგისტრატორმა მისი პერსონალური მონაცემები გადასცეს ადმინისტრატორს.

12. ხელშეკრულების სხვა პირობები

- 12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.
- 12.2. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის (ან მისი ნაწილის) ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას.
- 12.3. რეგისტრატორი უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილებები ან/და დამატებები წინამდებარე ხელშეკრულებაში. რეგისტრანტის მიერ სარეგისტრაციო მომსახურების ან/და დამატებითი მომსახურებით სარგებლობა ნიშნავს მის თანხმობას ხელშეკრულების უახლეს ვარიანტზე, რომელიც გამოქვეყნებულია მისამართზე: www.domenebi.ge
- 12.3.1. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრანტი არ ეთანხმება ხელშეკრულების განახლებულ ვარიანტს, იგი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს ამის შესახებ რეგისტრატორს და 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში გადაიტანოს მის სახელზე რეგისტრირებული ყველა დომენური სახელი სხვა რეგისტრატორთან.
- 12.4. ხელშეკრულების სათაურები მოცემულია მხოლოდ მოხერხებულობისთვის და მათ გავლენა არ აქვთ ხელშეკრულების პირობების განმარტებაზე.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„რეგისტრატორი“

შპს დომენები.ჯი

ს/კ: 405254004

საბანკო რეკვიზიტები:

სს თიბისი ბანკი

GE72TB7229936080100010